



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

კოსტანდემიური ზომბირებული ეკონომიკის ჩამოყალიბების  
საფრთხე და გაკოტრების მექანიზმების ქვედითუნარიანობა

ვლადიმერ კავაპა

170

ეკსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ვლადიმერ კაკავა**

**კონსტანდემიური ზომებირებული ეკონომიკის ჩამოყალიბების  
საფრთხე და გაკოტრების მექანიზმების ქმედითუნარიანობა**

**170**

**2021**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

## შესავალი

2020 წელი განსაკუთრებით გამორჩეული იყო COVID-19-ის მასშტაბური პანდემიის (WHO 2020) დაწყებით, რამაც, თავის მხრივ, გლობალური ეკონომიკური კრიზისი განაპირობა (მაგალითად, Baldwin and di Mauro 2020). კორონავირუსის სწრაფად გავრცელების შესაჩერებლად ყველაზე ქმედითუნარიანი მექანიზმი აღმოჩნდა ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტების შეზღუდვა, რაც ეკონომიკის მთელი რიგი დარგების შეჩერებით იქნა მიღწეული (IMF 2020). შეჩერებულმა ეკონომიკამ კი გლობალური მასშტაბით განაპირობა ეკონომიკური კრიზისის ჩამოყალიბება (Roach 2020). აქედან ლოგიკურად შეიძლება დავასკვნათ, რომ მოხდა COVID-19-ის პანდემიის „ეკონომიკურ პანდემიად“ ტრანსფორმაცია (Riley 2020).

საქმიანობაშეჩერებული ფირმებისათვის აუცილებელია გადარჩენის და ბაზარზე ადგილის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტა. მთავრობასაც ესმის, თუ რა სირთულეების წინაშე არიან საქმიანობაშეჩერებული ფირმები და ცდილობს მაქსიმალურად დაეხმაროს მათ ბაზარზე არსებობის უნარის შესანარჩუნებლად. ამ ტიპის დახმარებამ კი, თავის მხრივ, შეიძლება ამ ფირმების სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებული სხვა საფრთხე გააჩინოს, რომელიც, შესაძლოა, სხვა თანაბარ პირობებში, პოსტპანდემიურ პერიოდში, საკმაოდ რთულ ეკონომიკურ პრობლემად იქცეს. წინამდებარე სტატიის მიზანია ამ პრობლემის წარმოქმნის და მისი შესაძლო გადაწყვეტის ასპექტების განხილვა.

## კორონომიკური კრიზისი და საქმიანობაშეჩერებული ფირმების მხარდაჭერა

COVID-19-ის პანდემიის დაწყებისთანავე ნათელი იყო, რომ ეკონომიკა გარკვეული პერიოდი ამ პანდემიის ზეგავლენის მდგომარეობაში დარჩებოდა, რის გამოც ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ ფენომენის აღმნიშვნელი შესატყვისი ტერმინი – „კორონომიკსი“ – მოექდებნა, რომელიც ორი ტერმინს – „კორონას“ და „ეკონომიკსს“ – აერთიანებს (de Alwis, 2020). მოგვიანებით დაფიქსირდა მსგავსი ტერმინიც – „კორონანომიკსი“ (Eichengreen, 2020). ამ ახალი ტერმინების საფუძველზე ჩამოყალიბდა ტერმინი – „კორონომიკური კრიზისი“ (Papava, 2020a).

2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილების სრულად გამოყენება კორონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით შეუძლებელია, რადგანაც, თავისი არსით, გლობალური ფინანსური კრიზისი ტიპური ეკონომიკური კრიზისის ნაირსახეობა იყო, კორონომიკური კრიზისი კი თავისი ბუნებით ატიპური კრიზისია (Papava 2020c). მიუხედავად ამისა, კორონომიკური კრიზისის პირობებში მთავრობებმა ის ანტიკრიზისული ღონისძიებები (მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება და სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა) გამოიყენეს, რომლებიც 2007-2009 წლების კრიზისის დროსაც აქტიურად გამოიყენებოდა (Hatheway, 2020).

მთავრობები ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერისათვის მრავალფეროვან ინსტრუმენტებს მიმართავენ. კერძოდ, ფირმებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას, საბანკო ვალის გასტუმრების გადავადებას, საბიუჯეტო სუბსიდირებას და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფირმებს უწევენ ისეთი ტიპის დახმარებას, რაც მათ გადახდისუნარიანობის დაქვეითების პრობლემას შეუმსუბუქებს.

არაკრიზისულ ვითარებაში ყოველთვის აქტუალურია საკითხი, თუ რამდენადაა შესაძლებელი გადახდისუნარო ფირმების მიმართ გაკოტრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიკვიდაციის მექანიზმების ამოქმედება. კორონომიკური კრიზისის პირობებში ამ საკითხის გადაჭრა არა თუ რთული, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელიცაა. პრობლემას კი ქმნის ის, რომ კრიზისის დროს ხსენებული ფინანსური დახმარება ესაჭიროება არა მარტო იმ ფირმებს, რომლებიც ამ კრიზისის გარეშეც სრულად ან ნაწილობრივ მაინც იყვნენ გადახდისუნარონი, არამედ ისეთ ფირმებსაც, რომლებიც ამ კრიზისის დაწყებამდე ფინანსურად „ჯანსაღი“, ანუ გადახდისუნარიანები იყვნენ. კრიზისის მიმდინარეობისას კი პრაქტიკულად შეუძლებელია ფირმების დაჯგუფება იმ ნიშნით, თუ რომელს ჰქონდა კრიზისის დაწყებამდე გადახდისუნარიანობის პრობლემა და რომელს – არა.

## **ეკონომიკის ზომბირების საფრთხე**

თუკი კრიზისის პირობებში ვერ ხერხდება კრიზისის დაწყებამდე ფინანსურად „ჯანსაღი“ ფირმების გამოყოფა გადახდისუნაროებისგან, მაშინ შეუძლებელია გაკოტრების მარეგულირებელი კანონმდებლობის ამოქმედება. ამას ემატება კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ბარიერი. კერძოდ, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ არ გაიზარდოს უკმაყოფილო ამომრჩეველთა რიცხვი, მთავრობათათვის მიზანშეწონილი ხდება გაკოტრების გზით გადახდისუნარო ფირმების ლიკვიდაციის თავიდან აცილება. ამან კი, თავის მხრივ, COVID-19-ის პანდემიის პირობებში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა გაკოტრების კანონმდებლობის შესაბამისი გადასინჯვაც კი გამოიწვიოს (Boon, 2020).

მაშასადამე, ერთი მხრივ, აშკარაა, რომ კორონომიკური კრიზისი განაპირობებს ფირმების მნიშვნელოვან ნაწილში გადახდისუნარიანობის არსებითად შემცირებას; მეორე მხრივ კი, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მთავრობები უპირატესობას ანიჭებენ გაკოტრების ისეთ კანონმდებლობას, რომელიც შეზღუდავს ამ ტიპის ფირმების ლიკვიდაციის შესაძლებლობას. შედეგად, პოსტკრიზისულ პერიოდშიც, როცა ეკონომიკის აღდგენის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება, იმავე პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება გაკოტრების მექანიზმის ამოქმედება ამ გადახდისუნარო ფირმების ლიკვიდაციის მიზნით.

გაკოტრების კანონმდებლობით გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციის ბლოკირებას და ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში ბიზნესის, მათ შორის, ხსენებული ფირმების, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერას, ფაქტობრივად, ეკონომიკის ზომბირებისკენ მიყვავართ (Stiglitz, 2020).

საყურადღებოა, რომ ეკონომიკის ზომბირების ცნება გასული საუკუნის 90-იან წლებში იაპონიაში განვითარებული ფინანსური კრიზისის შედეგად გაჩნდა (მაგალითად, Hoshi 2006). ზომბი-ფირმა დაერქვა ისეთს, რომელიც გადახდისუუნარობის მიუხედავად, მაინც ახერხებს ფუნქციონირების გაგრძელებას. ამ ფირმების არსებობის ძირითადი ინსტრუმენტი საბანკო კრედიტია (Smith, 2003), რომლის აღებასაც ზომბი-ფირმები, მათი გადახდისუუნარობის მიუხედავად, მაინც ახერხებენ მთავრობის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიით (Hoshi and Kashyap, 2005). შედეგად, ზომბი-ფირმების გვერდით ჩნდება ზომბი-ბანკები, რომლებიც არ არიან გაცემული სესხის დაბრუნებაზე ორიენტირებული, რადგან ამ სესხების არდაბრუნების შემთხვევაში, ბანკი არ ზარალობს – შესაძლო ზარალის ანაზღაურება მთავრობის მიერ გაცემული გარანტიის ხარჯზე ხდება (Ahearne and Shinada 2005, 368). სწორედ ზომბი-ფირმების და ზომბი-ბანკების ერთობლიობა ქმნის ზომბი-ეკონომიკას (Kane, 2000).

2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში კი, ეკონომიკის ზომბირება გასცდა იაპონიის საზღვრებს და გლობალური ხასიათი მიიღო. ეს გამოიწვია კრიზისის პირობებში ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მთავრობის მხრიდან ზემოხსენებული ინსტრუმენტების გამოყენებამ (მაგალითად, Desjardins and Emerson, 2011; Harman, 2009; Onaran, 2012; Quiggin, 2010).

ეკონომიკის ზომბირების პროცესი 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა. ეკონომიკის ზომბირების პრობლემა ჯერ კიდევ კორონომიკური კრიზისის დაწყებამდე სულ უფრო მწვავედებოდა (Krugman 2020). კორონომიკურმა კრიზისმა კი, თავის მხრივ, ზომბი-ფირმების და ზომბი-ბანკების წრე გააფართოვა კიდევ (Papava, 2020b; Zingales, 2021).

პოსტპანდემური პერიოდის საწყის ეტაპზე, დიდი ალბათობით, გარკვეული დროის განმავლობაში კვლავაც გაგრძელდება მთავრობის მხრიდან ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენება. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვა თანაბარ პირობებში, პოსტკრიზისულ პერიოდში ზომბირებული ეკონომიკის დაძლევის პრობლემა კიდევ უფრო მწვავე იქნება.

## **გაკოტრების კანონმდებლობის თავისებურებები**

ეკონომიკის ზომბირებული სექტორის აღმოფხვრა მხოლოდ გაკოტრების კანონმდებლობის გამოყენების საფუძველზე გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციითაა შესაძლებელი. ამ მხრივ კი, საკმაოდ სერიოზული პრობლემებია დაგროვებული.

ითვლება, რომ აშშ-ის გაკოტრების სისტემა არის მსოფლიოში საუკეთესო, რის გამოც მიზანშეწონილია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული გაკოტრების მარეგულირებელი კანონმდებლობა დაუახლოვდეს ამერიკულს. კერძოდ, მიიჩნევა, რომ აშშ-ში გაკოტრების მოქმედი პროცედურები საკმაოდ ეფექტიანია, რადგანაც ორიენტირებულია როგორც კრედიტორთათვის ვალების გასტუმრებაზე, ისე ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი ფირმების წარმატებულ რესტრუქტურისაცაზე. ამ მიზეზით აღიარებულია, რომ ევროკავშირში გამოყენებული უნდა იყოს რესტრუქტურისაციის ისეთი კანონმდებლობა, რომელიც გაკოტრების ამერიკულ მოდელთან მაქსიმალურად იქნება დაახლოებული (მაგალითად, McCormack et al., 2016; Parikh, 2020; Pochet, 2002; Tilley, 2005).

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიამდე ცოტა ხნით ადრე ევროკავშირმა გაკოტრების შესახებ ახალი რეფორმის ინიცირება მოახდინა (მაგალითად, Malakotipour, Perotti and de Weijs, 2020). ამ რეფორმის ერთ-ერთ მიზნად დასახელდა მენარმებისთვის ე.წ. „მეორე შანსის“ მიცემა, რაც გულისხმობს პრევენციული რესტრუქტურისაციის გზით ვალების გადაუხდელობის გამო მათი გაკოტრების მაქსიმუმ სამი წლით გადავადებას (Wallace and Pilkington, 2019). ეს კი პოსტპანდემიურ პერიოდში ზომბირებული ეკონომიკის ლიკვიდაციით მისი აღმოფხვრის შესაძლებლობას არსებითად გაართულებს.

ჩვენი აზრით, სულაც არ არის გამორიცხული, რომ კორონომიკური კრიზისის გამო ევროკავშირმა ახალი რეგულაციის მიღების პროცესში გადახდისუნარო ფირმების ლიკვიდაციის პროცედურები კიდევ უფრო გაართულოს.

საინტერესოა საქართველოს გამოცდილება გადახდისუნარო ფირმების გაკოტრების კანონმდებლობის მიმართულებით.

როგორც საქართველოსთვის, ისე სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გადახდისუნარო ფირმების გაკოტრების მექანიზმის ეფექტიანობას (მაგალითად, Bufford, 1996). ეს გასაგებიცაა, რადგან საბაზრო კონკურენციის შედეგად ესა თუ ის ფირმა წარუმატებლობის გამო შეიძლება კიდევ გაკოტრდეს. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს მბრძანებლური ეკონომიკიდან მემკვიდრეობად ნეკროეკონომიკა ერგოთ (Papava, 2002; 2005), მაშინ გაკოტრების კანონის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სამწუხაროდ, გაკოტრების საკანონმდებლო მექანიზმების ამოქმედებას სერიოზული დაბრკოლებები შეექმნა, რაც იქ არსებული ინსტიტუციური სისტემის განუვითარებლობისა და ძლიერი სუბიექტური ფაქტორების შედეგი იყო (Bufford, 1996).

საქართველოში გაკოტრების პირველი კანონი 1996 წელს მიიღეს. მას ეწოდებოდა კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. ეს კანონი 2007 წელს ჩაანაცვლა კანონმა „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. მას, უწინარეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყო გადახდისუნარო საწარმოების სწრაფი ლიკვიდაცია და დარჩენილი აქტივების მევალეთა შორის განაწილება. მოგვიანებით

ჩაითვალა, რომ ეს კანონი პრინციპულად არ შეესაბამება ე.წ. „საუკეთესო პრაქტიკის“ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს, რომლის თანახმადაც, ფაქტობრივად, გაკოტრებულ ფირმებს უნდა მისცემოდეთ „მეორე შანსი“, ანუ დავალიანებათა რესტრუქტურისაციის გზით საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა უნდა შენარჩუნებოდეთ (Janus, 2016).

ხსენებული ევროპული ტრადიციიდან გამომდინარე, 2020 წელს საქართველოში მიღებულ იქნა ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, რომელიც ძალაში 2021 წლის 1 აპრილიდან შევიდა. ამ კანონის მიზანია ფაქტობრივად გაკოტრებული, გადახდისუნარო ფირმის ბაზარზე თუნდაც სამი წლის ვადით შენარჩუნება. ასეთი ფირმის გაკოტრების რეჟიმზე გადაყვანა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ რეაბილიტაციის პროცესში გამოიკვეთება, რომ ის, ამ რეაბილიტაციის მიუხედავად, გადახდისუნარიანი მაინც ვერ გახდება.

მაშასადამე, გაკოტრების შესახებ ამ ახალი კანონიდან გამომდინარე, საქართველოში თითქმის შეუძლებელი ხდება ეკონომიკის გადახდისუნარო ფირმებისგან გათავისუფლება. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ყოველთვის მოიძებნება ისეთი პოლიტიკური ლობისტი, რომელიც ყველა შესაძლო გზით „დაასაბუთებს“, რომ პრაქტიკულად ნებისმიერ გადახდისუნარო ფირმას აქვს პერსპექტივა და რომ მისი გაკოტრების გზით ლიკვიდაცია ყოველად გაუმართლებელია (Anderson 2004, 199). არგუმენტების არსენალს ისიც დაემატება, რომ თუნდაც გადახდისუნარო, მაგრამ მაინც მომუშავე ფირმა ზრდის მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობას, ასაქმებს მოსახლეობას და ა.შ. (მაგალითად, Janus, 2016).

გადახდისუნარო ფირმების ხარჯზე მთლიანი სამამულო პროდუქტისა და დასაქმების ზრდა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში მიიღწევა და ისიც, როგორც წესი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ეროვნული ბაზრის დაცვის ძლიერი პროტექციონისტული ზომები გამოიყენება. გადახდისუნარო ფირმების შენარჩუნებით კი, როგორც ცნობილია, ზარალდება როგორც მოცემული ქვეყნის მომხმარებელი, ისე მისი სახელმწიფო ბიუჯეტი და საბოლოო ჯამში – მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაც (მაგალითად, Krugman, Obstfeld and Melitz, 2018).

აშკარაა, რომ ევროკავშირის მსგავსად, საქართველოს გაკოტრების კანონმდებლობაში, სამწუხაროდ, არა იმდენად ეკონომიკის გაჯანსაღების, არამედ გადახდისუნარო საწარმოთა ბაზარზე ყოფნის ხელოვნურად გახანგრძლივების ტენდენციაა გაძლიერებული. ამ რთულ სიტუაციას კი კორონომიკური კრიზისი უფრო მეტად ამძიმებს.

გაკოტრების დღეს მოქმედი კანონმდებლობის უმთავრესი პრინციპი, რომლის თანახმადაც, აუცილებელია ბალანსის დაცვა კრედიტორების ინტერესებსა და შესაძლო სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან



აცილებას შორის (Stiglitz, 2001), არსებითად უნდა შეიცვალოს, რადგან ის გაკოტრების კანონმდებლობის საფუძველზე ბლოკავს ფაქტობრივად გადახდისუნარო ფირმების ლიკვიდაციას. აქედან გამომდინარე, თუკი გვინდა ეკონომიკა შედგებოდეს მხოლოდ ფინანსურად ჯანსაღი ფირმებისგან, მაშინ გაკოტრების კანონმდებლობის მთავარი პრინციპი უნდა იყოს ბალანსის დაცვა კრედიტორების ინტერესებსა და არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის (Papava 2017, 460). მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი პოსტპანდემიურ პერიოდში ზომბირებული ეკონომიკის აღმოფხვრა.

## დასკვნა

2020 წელს განვითარებულმა COVID-19-ის პანდემიამ გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, რისი მიზეზიც ეკონომიკის ცალკეული სექტორების, მათში მოქმედი ფირმების საქმიანობის დროებით შეჩერებაა. ეს უკანასკნელი კი აღმოჩნდა ის ქმედითი მექანიზმი, რითაც შეფერხდა ვირუსის გავრცელება ადამიანებს შორის კონტაქტების შეზღუდვის გზით.

ეკონომიკის ამგვარ მდგომარეობაში მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყოფნამ განაპირობა კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, ანუ კორონომიკური კრიზისი.

უკეთესი იდეების არარსებობის გამო კორონომიკური კრიზისის პირობებში მთავრობებმა 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის დროს გამოყენებული

ანტიკრიზისული ღონისძიებებით იხელმძღვანელეს. კერძოდ, ეს ღონისძიებები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებასა და სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდაჭერაზე მიმართული.

კორონომიკური კრიზისის პირობებში აშკარად გამოიკვეთა ფირმები, რომელთაც შეექმნათ გადახდისუნარიანობის პრობლემა. მათ შორის არიან ისეთი ფირმებიც, რომელთაც ეს პრობლემა, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდეც უკვე ჰქონდათ შექმნილი.

ზოგადად, ეკონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდაჭერა იწვევს გადახდისუნარო ფირმების ზომბირებას. ზომბირებული ეკონომიკის პირველი პრეცედენტი გაჩნდა იაპონიაში XX საუკუნის 90-იან წლებში. 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ეკონომიკის ზომბირებამ უკვე გლობალური ხასიათი მიიღო და ეს პროცესი, სამწუხაროდ, ამ კრიზისის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა.

გადახდისუნარო, ანუ ზომბირებული ფირმები მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკის ფინანსურად ჯანსაღ ნაწილს და ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა ზომბი-ფირმების ლიკვიდაციაა, რომელიც გაკოტრების შესაბამისი კანონმდებლობის ამოქმედებას უნდა დაეყრდნოს.

გაკოტრების კანონმდებლობის განვითარების თანამედროვე ტენდენცია არის გაკოტრებული ფირმებისთვის ენ. „მეორე შანსის“ მიცემა, რაც მათი ლიკვიდაციის თავიდან აცილებით მიიღწევა. ფირმის გაკოტრების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, უპირატესობა არა მის ლიკვიდაციას, არამედ რეორგანიზაციას ენიჭება. ხშირ შემთხვევაში, გადახდისუნარო ფირმების უკან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფი დგას. ისინი პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობენ ბაზარზე ამ ფირმების ხელოვნურად შენარჩუნებას.

არასიცოცხლისუნარიანი ფირმების ბაზრიდან გასვლის გზით ეკონომიკის გასაჯანსაღებლად გაკოტრების მთავარი პრინციპი უნდა იყოს კრედიტორების ინტერესების დაცვასა და არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის ბალანსის დაცვა.

პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ზომბი-ეკონომიკის აღმოფხვრა იქნება. ეს კი გაკოტრების ქმედითუნარიანი მექანიზმის გამოყენების გარეშე ვერ მიიღწევა.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Ahearne, Alan G., and Naoki Shinada. 2005. "Zombie Firms and Economic Stagnation in Japan." *International Economics and Economic Policy* 2 (4): 363–381. DOI: 10.1007/s10368-005-0041-1.
- Anderson, Robert E. 2004. *Get Out of the Way: How Government Can Help Business in Poor Countries*. Washington: CATO Institute.
- Baldwin, Richard, and Beatrice Weder di Mauro, eds. 2020. *Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever It Takes*. London: CEPR Press. [https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2t07kRFEGS1\\_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFJeSzH5tfEi6Odu55F8](https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2t07kRFEGS1_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFJeSzH5tfEi6Odu55F8).
- Boon, Gert-Jan. 2020. "Amending Insolvency Legislation in Response to the COVID-19 Crisis." *Harvard Law School Bankruptcy Roundtable*, May 12, 2020. <https://blogs.harvard.edu/bankruptcyroundtable/2020/05/12/amending-insolvency-legislation-in-response-to-the-covid-19-crisis/>.
- Bufford, Samuel. 1996. "Bankruptcy Law in European Countries Emerging from Communism: The Special Legal and Economic Challenges." *American Bankruptcy Law Journal* 70, Fall: 459-483. <https://www.iiglobal.org/sites/default/files/bankruptcylawineuropeancountriesemergingfromcommunism.pdf>.
- de Alwis, Ajith. 2020. "Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!" *Daily FT*, February 6, 2020. <http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket/-/4-695109>.
- Desjardins, Lisa, and Rick Emerson. 2011. *Zombie Economics: A Guide to Personal Finance*. New York: AVERY.
- Eichengreen, Barry. 2020. "Corononomics 101." *Project Syndicate*, March 10, 2020. [https://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=cba7e1c6a1-sunday\\_newsletter\\_15\\_03\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc\\_cid=cba7e1c6a1&mc\\_eid=e9ffb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9ffb6cbcc0).

- Harman, Chria. 2009. *Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx*. Chicago: Haymarket Books.
- Hatheway, Larry. 2020. "A COVID-19 Emergency Response Plan." *Project Syndicate*, February 27, 2020. <https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02>.
- Hoshi, Takeo. 2006. "Economics of the Living Dead." *The Japanese Economic Review* 57 (1): 30-49. <https://doi.org/10.1111/j.1468-5876.2006.00354.x>.
- Hoshi, Takeo, and Anil Kashyap. 2005. "Solutions to Japan's Banking Problems: What Might Work and What Definitely will Fail." In *Reviving Japan's Economy: Problems and Prescriptions*, edited by Takatoshi Ito, Hugh Patrick and David E. Weinstein, 147-195. Cambridge: The MIT Press.
- IMF. 2020. "Policy Responses to COVID-19." *International Monetary Fund*, April 10, 2020. <https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Policy-Responses-to-COVID-19#U>.
- Janus, Hans. 2016. *Avoiding the Insolvency of Georgia's Insolvency Law*. Policy Paper Series [PP/01/2016]. Berlin/Tbilisi: German Economic Team Georgia. [https://www.german-economic-team.com/georgien/wp-content/uploads/sites/3/PP\\_01\\_2016\\_en.pdf](https://www.german-economic-team.com/georgien/wp-content/uploads/sites/3/PP_01_2016_en.pdf).
- Kane, Edward J. 2000. "Capital Movements, Banking Insolvency, and Silent Runs in the Asian Financial Crisis." *Pacific-Basin Finance Journal* 8 (2): 153-175. [https://doi.org/10.1016/S0927-538X\(00\)00009-3](https://doi.org/10.1016/S0927-538X(00)00009-3).
- Krugman, Paul. 2020. *Arguing with Zombies: Economics, Politics, and the Fight for a Better Future*. New York: W.W Norton & Company.
- Krugman, Paul R., Maurice Obstfeld, and Marc Melitz. 2018. *International Trade: Theory and Policy*. Harlow: Pearson.
- Malakotipour, Maryam, Enrico Perotti, and Rolef de Weijs. 2020. "Unfair and Unstable: EU Bankruptcy Reform Requires More Scrutiny." *VOX EU*, February 24, 2020. <https://voxeu.org/article/eu-bankruptcy-reform-requires-more-scrutiny>.
- McCormack, Gerard, Andrew Keay, Sarah Brown, and Judith Dahlgreen. 2016. *Study on a New Approach to Business Failure and Insolvency Comparative Legal Analysis of the Member States' Relevant Provisions and Practices*. Luxembourg: Publications Office of the European Union. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/3eb2f832-47f3-11e6-9c64-01aa75ed71a1/language-en>.
- Onaran, Yalman. 2012. *Zombie Banks: How Broken Banks and debtor Nations are Crippling the Global Economy*. Hoboken: John Wiley & Sons.
- Papava, Vladimer. 2002. "Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy." *International Journal of Social Economics* 29 (10): 796-805. <https://doi.org/10.1108/03068290210444421>.
- Papava, Vladimer. 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York: iUniverse.
- Papava, Vladimer. 2017. "Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy." *Journal of Reviews on Global Economics*, 6: 455-462. DOI: <https://doi.org/10.6000/1929-7092.2017.06.46>.
- Papava, Vladimer. 2020a. "Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine." *Eurasia Review. News & Analysis*, March 29, 2020. <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.
- Papava, Vladimer. 2020b. "Features of the Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy." *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* 14 (3): 128-134.
- Papava, Vladimer. 2020c. "On the Atypical Economic Crisis under the COVID-19 Pandemic." *Economics and Business* no. 4: 4-16. <http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=eng&adgi=1056&title=On%20the%20Atypical%20Economic%20Crisis%20%20under%20the%20COVID-19%20Pandemic>.
- Parikh, Samir D. 2020. "Bankruptcy Tourism and the European Union's Corporate Restructuring Quarry: The Cathedral in Another Light." *University of Oxford, The Faculty of Law*, March 20, 2020. <https://www.law.ox.ac.uk/business-law-blog/blog/2020/03/bankruptcy-tourism-and-european-unions-corporate-restructuring>.

- Pochet, Christine. 2002. "Institutional Complementarities within Corporate Governance Systems: A Comparative Study of Bankruptcy Rules." *Journal of Management and Governance* 6: 343–381. DOI:10.1023/A:1021219200695.
- Quiggin, John. 2010. *Zombie Economics: How Dead Ideas Still Walk Among Us*. Princeton: Princeton University Press.
- Riley, Charles. 2020. "Coronavirus is Fast Becoming an 'Economic Pandemic'" *CNN Business*, February 25, 2020. <https://edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html>.
- Roach, Stephen S. 2020. "When China Sneezes." *Project Syndicate*, February 24, 2020. <https://www.project-syndicate.org/commentary/china-coronavirus-shock-prospects-for-global-recession-by-stephen-s-roach-2020-02>.
- Smith, David C. 2003. "Loans to Japanese Borrowers." *Japanese International Economies* 17 (3): 283-304. [https://doi.org/10.1016/S0889-1583\(03\)00043-1](https://doi.org/10.1016/S0889-1583(03)00043-1).
- Stiglitz, Joseph E. 2001. "Bankruptcy Laws: Basic Economic Principles." In *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*, edited by Stijn Claessens, Simeon Djankov, and Ashoka Mody, 1-23. Washington: The World Bank.
- Stiglitz, Joseph E. 2020. "Priorities for the COVID-19 Economy." *Project Syndicate*, July 1, 2020. [https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=67133fbc7b-covid-newsletter\\_02\\_07\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc\\_cid=67133fbc7b&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=67133fbc7b-covid-newsletter_02_07_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc_cid=67133fbc7b&mc_eid=e9fb6cbcc0).
- Tilley, Alan. 2005. "European Restructuring: Clarifying Trans-Atlantic Misconceptions." *The Journal of Private Equity* 8 (2): 99-103.
- Wallace, Ian, and Christian Pilkington. 2019. "Restructuring Across Europe – A New Era?" *White & Case*, January 25, 2019. <https://www.whitecase.com/publications/alert/restructuring-across-europe-new-era>.
- WHO. 2020. "WHO Director-General's Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 – 11 March 2020." *World Health Organization*, March 11, 2020. <https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020>.
- Zingales, Luigi. 2021. "Attack of the COVID Zombies." *Project Syndicate*, July 2, 2021. [https://www.project-syndicate.org/commentary/separating-healthy-firms-from-corporate-zombies-by-luigi-zingales-2021-07?utm\\_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm\\_campaign=df914751a4-sunday\\_newsletter\\_07\\_04\\_2021&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-df914751a4-93567601&mc\\_cid=df914751a4&mc\\_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog](https://www.project-syndicate.org/commentary/separating-healthy-firms-from-corporate-zombies-by-luigi-zingales-2021-07?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=df914751a4-sunday_newsletter_07_04_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-df914751a4-93567601&mc_cid=df914751a4&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog).